ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 66

დ. ასპინძა **11 დეკემბერი 2017 წ.**

ერთის მხრივ ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის ცენტრის

დირექტორი გიორგი ბერიძე; ს/კ 423098392

(შემდეგში შემსყიდველი): დაბა ასპინძა მეფე თამარის ქ№3

და მეორე მხრივ შპს „იბერკომპანი", დირექტორი ბექა კიკალეიშვილი; ს/კ 231963818

(შემდგომში მიმწოდებელი). დ. ასპინძა, ვარძიის ქ№97

მათ შორის მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

1.1. **CPV 09100000**. საწვავის შესყიდვა

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებაა 250 (ორასორმოცდაათი) ლარი.

3. სამუშაოების შესრულების ეტაპები და ვადები.

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

4. მიღება-ჩაბარების წესი.

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

5.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ხარისხიანი და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

6 ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდოდ.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება უნაღდო ანგარიშსწორებით, „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადების საფუძველზე - დამკვეთის -მიერ ცენტრის ანგარიშზე ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

7 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქონლის მიწოდების პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა შენიშვნები.

8 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1. თუ მიმწოდებელი მე-3.1. მუხლის მოთხოვნებს არღვევს თავისი მიზეზით, ვალდებულია შემსყიდველს აცნობოს დაუყოვნებლის და გონივრულ ვადაში.

8.2. მე-8.1 მუხლის შედეგად შემსყიდველის ინტერესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9 ფორს მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების პროცესში.

9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10 დავების გადაწყვეტის წესი

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულებების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესახებ არაუგვიანეს 3 დღისა.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მიღებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი: ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის ცენტრის
დირექტორი გ. ბერიძე

ხელმოწერა .....

ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები:
ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის ცენტრი
საინდიფიკაციო კოდი 423098392
ბანკი- ს.ს „თიბისი ბანკი".
კოდი TBCBGE22
ა/ა GE62TB7723936020100002

მიმწოდებელი: შპს „იბერკომპანი"
დ. ასპინძა, ვარძიის ქ№97

ხელმოწერა .....

ბ.ა.

შპს „იბერკომპანი"
საინდიფიკაციო კოდი 231963818
ბანკი- ს.ს „თიბისი ბანკი"
კოდი TBCBGE22
ანგარიშსწ. ანგარიში GE28TB7394736020100002